განმარტებითი ბარათი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის თაობაზე

ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის თაობაზე

ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მოხელეს, რომელსაც მიენიჭა საკლასო ჩინი, კანონმდებლობით დადგენილი წესით მიეცემა თანამდებობრივი სარგოს დანამატი. სხვა თანამდებობაზე ან სხვა დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევაში მოხელეს უნარჩუნდება საკლასო ჩინი და მიეცემა საკლასო ჩინისათვის გათვალისწინებული დანამატი. პრაქტიკაში, მოხელეს სხვა თანამდებობაზე გადასვლის შემთხვევაში საკლასო ჩინის დანამატი მიეცემა იმ თანამდებობრივი სარგოს გათვალისწინებით, რა თანამდებობრივი სარგოს ოდენობაც არის გათვალისინებული დაკავებული თანამდებობისათვის.

მოქმედი 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის რედაქცია კი იძლევა ნორმის სხვადასხვაგვარი წაკითხვისა და განმარტების საშუალებას, რაც გაუგებრობას იწვევს.

ა.ბ. კანონპროექტის მიზანი.

კანონპროექტის მიზანია აღმოიფხვრას ნორმის ორმაგად წაკითხვის საშუალება.

ა.გ. კანონპროექტის არსი.

კანონპროექტის თანახმად, მოხელეს, რომელსაც მიენიჭა საკლასო ჩინი, კანონმდებლობით დადგენილი წესით მიეცემა თანამდებობრივი სარგოს დანამატი. სხვა თანამდებობაზე (სხვა დაწესებულებაში) გადასვლისას მოხელეს უნარჩუნდება საკლასო ჩინისათვის გათვალისწინებული დანამატი. დანამატის გაანგარიშების საფუძველია მოხელის მიერ დაკავებული თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგო.

ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით არ ხდება გადასახდის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტებს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:
პარლამენტის წევრი ხათუნა გოგორიშვილი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.
პარლამენტის წევრის ხათუნა გოგორიშვილი